

# ბრიტანეთის ელჩი დაბა ნასაკირალის მოსახლეობას უმხვდა



ბრიტანეთი/საქართველო 2019 წლის ფარგლებში, "მოდრავი საელი" დაბა ნასაკირალში იმყოფებოდა, სადაც მოსწავლეებს ბრიტანეთის უფრო ახლოს გაცნობის მიზნით, ინფორმაცია გააცნო.

ლონისძიებზე სხვადასხვა სახის კონკურსი გაიმართა, ნასაკირალის მცხოვრებლებს საულოსიდან საჩუქრები გადაეცათ. ისაუბრეს ბრიტანულ-ქართული ურთიერთობების, მეგობრობის, პროექტებსა

და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

შეხვედრას პარლამენტის წევრი - ლანჩუთის, ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი ნინო წილოსანი, გურიის მხარის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ძალიან მოხარული ვარ აქ ყოფნით. ეს შეხვედრა მიზნად ისახავს აღმოაჩინონ სახელე უკვე ნაცნობი ბრიტანეთის შესახებ. მოძრავი საულო გულისხმობს რეგიონებში საულოის საქმიანობის გაცნობას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის“ - განაცხადა ბრიტანეთის ელჩმა, ვასტინ მაკკენზი სმიტმა.

„მეგსალები დიდი ბრიტანეთის საულოის ჩართულობას და მის აქტივობებს, რომელშიც ძალიან ბევრი ახალგაზრდა და სკოლის მოსწავლეა ჩართული. ბრიტანეთის საულოის მოწვევა, მოსახლეობის თხოვნა იყო და ჩვენ, მათი აზრი გავითვალისწინეთ“ - აღნიშნა მხარის რწმუნებულმა, ზურა ნასარაიამ.

# საკრებულოს მორიგ სხდომაზე

2 ოქტომბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე, რომელსაც დავით დარჩია უძღვებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამ საკითხზე იმსჯელეს.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო "მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ -

საკრებულოს დადგენილების მისაღებად. ნორმატიული აქტის პროექტის ინიციატორია საკრებულოს დარგობრივი კომისია. პროექტზე დადებითი დასკვნა შეიმუშავა მუნიციპალიტეტის მერიამაც.

განკარგულება იქნა მიღებული, ოზურგეთის მუნიცი-



პალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ა)იპ „საქველმოქმედო ასოციაცია „გურიასთვის“ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

კიდევ ერთი განკარგულება, რომელიც საკრებულომ დაამტკიცა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმას ეხება.



# ქართლი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ქოველკვირეული გამოშვება. № 34 (10327) 7 ოქტომბერი, 2019 წ. შახი 60 თეთრი.

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

## ნინო გომეზაძე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წესების, იმუნიტეტისა და ინსტიტუციურ საკითხთა კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს



საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ნინო გომეზაძე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წესების, იმუნიტეტისა და ინსტიტუციურ საკითხთა კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

„წესების იმუნიტეტისა და ინსტიტუციურ საკითხთა კომიტეტის მნიშვნელოვანი ფუნქციები აქვს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში. ეს იყო ერთ-ერთი წამყვანი კომიტეტი, რომელიც გასულ წელს, რუსეთის დაბრუნების საკითხზე მსჯელობდა და ეს საკითხი ისევე დგას კომიტეტის დღის წესრიგში. ამიტომ, ვფიქრობ ამ კომიტეტში ჩვენი წარმომადგენლობა და მმართველ

პოზიციებზე ყოფნა გააძლიერებს ქართული დელეგაციის პოზიციას“, - განაცხადა ნინო გომეზაძემ.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამუშაოებში სესიის განხილვის საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია პროტესტისა და უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად არ დასწრება. პროტესტი იმ გადაწყვეტილებას უკავშირდება, რომლითაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის ხმის მიცემის უფლება აღუდგინა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ სესიის მუშაობაში არ მიიღო მონაწილეობა, ის აქტიურად არის ჩართული ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტების მუშაობაში.

## ეპრიკა! - კიდევ ერთი პარიერი ნაბოგარში

**ალიონი.** რამდენი კარიერი მუშაობს სოფელ ნაგომრის ტერიტორიაზე მდინარე სუფსის აუზში? ამ მარტივ კითხვაზე დღესდღეობით ზუსტი პასუხი არ არსებობს. ინერტული მასალების მძიებლები აქაურობას ისე მონდომებით ითვისებენ, სავსებით შესაძლებელია, გუშინდელი სტატისტიკა რეალობისაგან შორს აღმოჩნდეს, ანუ კარიერების რაოდენობა ბევრად მეტი იყოს გუშინდელთან შედარებით.

გასულ პარასკევს, 4 ოქტომბერს კარიერების მიმდებარე არსებული საყანე ფართობების მეტრირება, შექმნილი სიტუაციის გამო, აქციის გამართვას აპირებდნენ, მათი ინფორმაციით, ქვიშა-ხრეშის მომპოვებლებმა მოუტყენავე ყანების გავლით დაიწყეს ინერტული მასალის გატანა. დღის მთელი ნახევარში ცნობილი გახდა, რომ ეს აქცია ორი დღით გადაიდო.

პარასკევსვე, მოძრაობა „გადავარჩინოთ გურიის მდინარეების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ირმა გორდელაძემ**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მომავლის ოზურგეთის“ თავმჯდომარე **ლევან მეგელაძემ**, სამაჟორეული კომპანია „გურასა“ და გაზეთ „ალიონის“ მუხრანისტიკების თანხლებით, გადაწყვიტეს ადგილზე გაცნობილენ სიტუაციას.

სოფელ ნაგომრის ცენტრიდან ნახევარ კილომეტრში, ოზურგეთი-ჩოხატაურის ცენტრალური გზის მარცხენა მხარეს, პირველვე მოსახვევში, საყანე ფართობების იქით, დაახლოებით 300 მეტრში



ერთ კარიერს მივაყენით. როგორც აღმოჩნდა, ეს არ იყო ის კარიერი, რომლის ბოლოდროინდელ ქმედებაზე გვატყობინებდნენ ნაგომრელები. თუმცა, ვიზუალურად აქც ჩანდა ამ „ახალის“ საზიანო მოქმედება გარემოზე, კერძოდ ერთგან აშკარად ჩანდა პირდაპირ მდინარეში რეწვის, ხოლო მეორეგან ხე-მცენარეების, კერძოდ, თხმელის მთელი რაყის განანაგების ცხელი კვალი.

ადგილზე ორი მექსიკაგატორე დაგვხვდა, ტექნიკა გაფუჭვობდა და სათადარიგო ნაწი-

ლის მოტანის ელოდებოდნენ. მათი თქმით, კარიერი ბათუმში მოქმედ „გზამშენს“ ეკუთვნოდა. ტელეფონით დაუკავშირდნენ თავიანთ უფროსს, რომელიც ბატონი **დიმიტრი ქუტიბე** აღმოჩნდა. ჩვენთან სატელეფონო საუბარში დიმიტრი ქუტიბემ გვითხრა, რომ კარიერი კომპანია „ჯეო-ენერჯის“ ეკუთვნის და ორი თვე არ არის გასული, რაც მუშაობას შეუდგენ. როცა დარღვევებზე მიუთითეთ, დასინა: როგორ გეკარებათ, გარემოს დაცვის ინსპექტორებმა შეგვაპოწმეს, ცველაფერი წესრ-

იგნია. შემოდია, შესაბამისი დოკუმენტაცია გამოვიგზავნიოთ. რა თქმა უნდა, დაველოდებით დოკუმენტაციებს, მაგრამ ჩვენ მიერ დაფიქსირებული ვიზუალური მასალებით თუ ვიმსჯელებთ, „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“, ისე გამოუვიდა ბატონ დიმიტრი ქუტიბეს.

სუთიოდე წუთში უკვე ხსენებული კომპანიის ოურისტი **თემურ გორგაძე** ირმა გორდელაძეს დაუკავშირდა

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**  
**ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.**

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
 რედაქტორი  
**ნუგზარ ასათიანი**  
 nugzarasatiani@rambler.ru  
 558 499100  
 საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:  
**თემურ მარშანიშვილი**  
 tem52@mail.ru  
 599 373515  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
 gia\_77@mail.ru  
 551 576060  
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე  
 «ალიონით»

## მკრიკა! - კიდევ ერთი კარიერი ნაგომარში



ტელევიზიით, მე ვიპასუხებთ, მიიხარით, რა განიტყვებთო. გორგაძემ დააკონკრეტა, რომ ლიცენზიის მიხედვით, 25 აკვისტოს შეუდგენენ მუშაობას და ეკოსაფარის მოხსნისა და 3 მეტრ სიღრმეში ჩასვლის უფლება აქვთ.

გორგაძის კითხვაზე - ვინ გასცა ეს ლიცენზია, უპასუხა, რომ გარემოს დაცვამ, რასაც ირმა გორდელაძის რეპლიკა მოჰყვა: არ ყოფილხარ შენ ოურისტი, ლიცენზიას წიადის ეროვნული სააგენტო გასცემსო.

გორგაძე არც ლევან მგელაძის შენიშვნებს შეეპუა და საკრებულოს დეპუტატთან სატელეფონო საუბრისას თქვა, რომ მზად არის ნებისმიერ გაგვეჯიბროს ქვეყნის სიყვარულში.

არავის ქისიში არ ვუდგებოთ, მაგრამ კონკრეტულად ამ კარიერის საქმიანობაში სახეზეა ორი ამკარად დარღვევის ფაქტი: პირველი - ინერტულ მასალას მოიპ-

ოვებენ უშუალოდ მდინარეში, რაც კატეგორიულად დაუშვებელია; მეორე - არც თუ ისე მცირე მონაკვეთზე განადგურებულია თხემლის რაფა. არ გამოვიცხავთ, რომ შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობისა და ანალიზის შემდეგ, ეს ჩამონათვალი გაიზარდოს.

ჩვენი აზრით, ვერაფერი გამამართლებელი საბუთია ის, რომ ეკოსაფარი კარიერის სამოქმედო არეალის კონტურებში იყო მოქცეული. თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, სომ შეიძლებოდა გარემოს დაცვისა და ლიცენზიანტის შეთანხმებით, ინერტული მასალის აღების დაწყებამდე, მომხდარიყო კონტურების კორექტირება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საუბარი არ არის რამდენიმე ხე-მცენარის ამოძირკვასა თუ მოჭრაზე, აქ ტყის არც თუ ისე მცირე ნაწილია განადგურებული, რასაც აღარაფერი ეშველება.

## ოზურგეთში გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს



ქვეყნის სრული გაზიფიცირების მიზნით, მთავრობის სამწლიანი გეგმის ფარგლებში, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია, გაზიფიცირების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს აქტიურად ახორციელებს.

გასულ კვირაში, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალურმა დირექტორმა **ჯაბა ხმაღაძემ**, გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა **ზურაბ ნასარაიამ** და ოზურგეთის მერის მოადგილე ოს-

იკო თოთობაძემ, ოზურგეთის სოფლებში მზიანსა და დაბალ ენერჯი გაზიფიცირების სამუშაოები დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში, ორივე სოფელში, 15 643 გრძივი მეტრი გაზსადენი აშენდება და გაზიფიცირების საერთო ქსელში 266 აბონენტი ჩაერთვება.

პროექტის ჯამური ღირებულება 475 606 ლარს შეადგენს. სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

## დევნილ მოსახლეობასთან უმხვედრა გაიმართა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, ხელმძღვანელი ზაზა ჩაჩავა და გურიის მხარის რწმუნებული **ზურაბ ნასარაია**, რეგიონში მცხოვრებ დევნილებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე დევნილებს მიაწოდეს ინფორმაცია აფხაზეთის ა/რ მთავრობისა,

აფხაზეთის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს, წარმომადგენლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების, სერვისების შესახებ. ამავე დროს, მოხსენეს დევნილი მოსახლეობის პრობლემები და გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

## ზვიად თენიშვილი საარჩევნო სისტემების პარტიის ცენტრში გადავიდა

**ალიონი.** ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ადგილი ვაკანტურია. აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე ზვიად თენიშვილმა ეს თანამდებობა დატოვა. იგი ახალ თანამდებობაზე - საარჩევნო სისტემების მართვის ცენტრში გადავიდა სამუშაოდ.

ზვიად თენიშვილმა გაზეთ „ალიონთან“ დაადასტურა, რომ ცეცხლმას ახალი თანამდებობა შესთავაზა, იგი სამუშაოდ საარჩევნო სისტემების ცენტრში გადავიდა. იგი კონსულტაციებს გაუწევს ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ქობულეთის საოლქო-საარჩევნო კომისიებს.

თუ ვინ დაინიშნება კომისიის თავმჯდომარის ვაკანტურ თანამდებობაზე, 10 დღის განმავლობაში გახდება ცნო-



ბილი. ვერ-ვერობით უცნობია, თუ ვინ დაიკავებს აღნიშნულ პოსტს.

## ოზურგეთში, სასტუმრო „სემის“ საკონფერენციო დარბაზში მიმდინარეობს ქალთა ეკონომიკური ფორუმი გაიმართა.



ფორუმი უკვე მეორედ ჩატარდა და მასში ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან 50-ზე მეტი მქარამე ქალი მონაწილეობდა. ფორუმში ასევე მონაწილეობდნენ ქალ მქარამეთა მხარდამჭერი პროგრამების წარმომადგენლები სააგენტო „წარმოე საქართველოდან“ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოდან“ UNDP-ის პროექტიდან - „რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“, ასევე საქართველოს ფერმერთა და აჭარის ქალ ბიზნეს-მენთა ასოციაციებიდან.

ჩვენი დღევანდელი ფორუმის მიზანია ქალი მქარამეობების გაძლიერება და მათი უფრო აქტიური ჩართვა მუნიციპალიტეტისა და რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ფორუმის თემატიკა ითვალისწინებდა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებთან დაკავშირებით მქარამეთა ინფორმირებას,

ასევე იმ პროგრამების გაცნობას, რითაც ადამიანებს ბიზნესის დაწყების ან განვითარების შესაძლებლობა ეძლევათ. დღეს ასევე ქალბატონებს გაეცანით მიმდინარე და მომავალ წელს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი აქტივობები. ჩვენი ორგანიზებით ჩატარებული ღონისძიებები ეკონომიკური განვითარების გეგმას ეფუძნება, რომელიც წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის მომზადდა. გვაქვს საინტერესო გეგმები და ინიციატივები, რომელთაც ეტაპობრივად ვახორციელებთ, - განაცხადა ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **ალეკო მაჭუყელიძემ**.

ქალთა ეკონომიკური ფორუმი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

## სოფელ ჭანიეთში აგებულა ტორის მუშაობა დაიწყო

ჭანიეთის ტერიტორიულ ერთეულში აგებულა ტორის მშენებლობა დაიწყო. პროექტის ღირებულება 115 000 ლარს შეადგენს, რომელიც ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო.

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს შპს „მშენებელი 2017“ აწარმოებს.











# გლქთა აჯანყებები გურიში 1862 წელს

გუბერნატორ ნიკოლაი კოლიუბაკის ოზურგეთში სასწრაფოდ ქვეითი ჯარის 2 ასეულის გაგზავნა სოხოვა.

1862 წლის 10 აგვისტოს ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორმა იზოუმსკიმ კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელ გრიგოლ ორბელიანს ამჯერად უკვე სოფლებში – გოგორეთსა და გურიანთაში – გლქთა მღელვარების ჩახშობის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ მახსენა:

1. 10 აგვისტოს ოზურგეთის მაზრის უფროსს, შტაბს-კაპიტან პრინცს **შემოქმედის** მონასტრის ეზოში შეკრებილი ამოხებული გლეხების წინააღმდეგ სოფელ **მაკანეთიდან** ქვეითი ჯარის ასეული (70 კაცი) გაუგზავნა. ამოხებული გლეხები ჯარის გამოჩენის შემდეგ არ დაშლილან. იზოუმსკის შემოქმედმა დამატებით 50 ჯარისკაცი გაუგზავნა, რომელთაც თან გაჰყოლიან ოზურგეთის მაზრის თავადზნაურობის წინამძღოლი და რამდენიმე თავადი და

აზნაური;

2. ოზურგეთიდან შემოქმედისაკენ მიმავალი რაზმი ჯერ კიდევ დაბრუნებული არ იყო, რომ იზოუმსკისთან გამოცხადდა სამი ქალი და შემოქმედში თავმოყრილი აჯანყებული გლეხების შეწყალება ითხოვა. იზოუმსკიმ ქალები უკან გააბრუნა და თან დაავალა, აჯანყებულები აირადის დაყარასა და დაშლაზე დაეთანხმებინათ. იმვე დღეს სამოქალაქო გუბერნატორი თავდაცვით შემოქმედისაკენ დაიძრა, სოფელში მისულმა შეიტყო, რომ შტაბს-კაპიტანი პრინცი მონასტერში იმყოფებოდა. თარჯიმან **ყენას** მეშვეობით სამოქალაქო გუბერნატორმა მაზრის უფროსს გლეხების დაუყოვნებლოდ დაშლის თაობაზე ბრძანება გაუგზავნა. ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში გუბერნატორი სამხედრო ძალის გამოყენებით იმუქრებოდა;

**(გაზრდობა იძნება) ვახტანგ გურიელი**  
საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) გვ 85-86

ჩვენი გაუსაძლისო ტკივილი, ჩვენი გულა!

უკვე სამი წელი შესრულდა, რაც უკურნებელმა სენმა ნადრევად დაასრულა შენი ლამაზი ცხოვრება, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეჩერებულა იმაზე ფიქრი, რომ იყავი ჩვენი სამხაკაცოს ღირსეული წევრი.

რამდენი მოგონება შეიძლება შენზე, შენს კაცობაზე, არაჩვეულებრივ მეგობარზე. წარმოუდგენ-

# სულთანაა გელა სიამაშვილის მონატრება



ლად მოსიყვარულე მამა, მუელე

და ბაბუა, კაცობაში გამოჩენილი კაცი იყავი, კარგი მოქიფე, მეგობრის გვერდში მდგობი, ნათესავებზე გადაყოლილი. ეს შენი ასაკისთვის ცოტა მეტიც კი იყო.


შენი ლამაზი სულისათვის დანთებული სანთლები მარადიულ სასუფეველში გაგინათებს გზას, ალალი იფოს ის წმინდა მიწა, რომელიც შენი შრომითი მითისპირიდან ჩამოატანინე აღსრულების წინა დღეებში, შენს კეთილ

გულზე დაყრილი.

სამარადყვამოდ ჩვენს გულში იქნები, ერთგული მეგობარი გელა სიამაშვილო. ყველაფერი იცვლება, მეგობრის დაკარგვით გამოწვეული სევდა კი დიდხანს ვერტანჯავს.

უახლოესი მეგობრები: **გოდერძი ბაბილოძე, ოლეგ გობრონიძე, ალექო ტულუში, ბახე მასხარაძე, ნოდარ ცინცაძე, ვაჟა გურგენიძე, ტარიელ ჭყონია, ათანდილ მკურნალიძე.**

## ბენია აბუთაძე



ქართულ პედაგოგიურ საზოგადოებას კიდევ ერთი ამავდარი, ადამიანი თვისებებით გამოჩენილი, საუკუნეს მიღწეული პედაგოგი, გომის საჯარო

სკოლის დაწყებითი კლასების საზოგადოების წინაშე ვალდებული მასწავლებელი, თავის პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული, ბატონი ბენია აბუთაძე გამოაკლდა.

ბენია აბუთაძე ათეული წლების მანძილზე ნაყოფიერი, შინაარსიანი, მაღალპროფესიული დეპაჩით ასწავლიდა აღსაზრდელებს, სიკეთეს, სიყვარულს. მამულის შეცნობას, შრომისმოყვარეობას, ურთიერთობის ხელშეწყობას.

ბატონი ბენიას სახით,

საზოგადოების წინაშე ვალდებული კაცი შეუერთდა წინაპართა აზრდილებს.

მისი ხსოვნა მარად დარჩება აღსაზრდელების, კოლეგებისა და უახლოესების გულში.

**გომის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი**  
**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თაოსნობის პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია**



ოზურგეთის ალ წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი იუწყება თეატრის სცენის შემანქანის **ზაზა სარიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## სკანვორდი

|  |                            |                        |                    |                      |                             |                           |                 |                              |
|--|----------------------------|------------------------|--------------------|----------------------|-----------------------------|---------------------------|-----------------|------------------------------|
|  | დაბა გალის მუნიციპალიტეტში | წვეულება               |                    | მშობელი              |                             | ერთი მეგობარად            | ელექტროსელსაწყო | პირველი ორნიშნა რიცხვი       |
|  |                            |                        |                    |                      |                             | ამორტიზებული რეინული      |                 |                              |
|  |                            |                        |                    |                      | ძალიან ღიღი                 | მეგყვებოდეს ორგანო        |                 | გრაფიკი                      |
|  |                            | ბოსტნეული              | სისხლში საზღვრავენ | ... კინი             | გბა თბილისში                |                           |                 |                              |
|  |                            | აღმოსავლური ორთაბრძოლა | ნისლიანი ქვეყანა   |                      |                             |                           | ქალის სახელი    | შემოქმედებითი ჯგუფი          |
|  |                            |                        |                    |                      |                             |                           |                 |                              |
|  |                            |                        |                    |                      |                             | ლევის და არყის გამყიდველი |                 |                              |
|  |                            |                        |                    | წყლის საველე ჭურჭელი |                             | გრამატიკული კავშირი       | ხმოვანი სიგნალი |                              |
|  |                            |                        |                    |                      | პირველი კოსმონავტი          |                           | ცინდალი         | სოკოს სახეობა                |
|  | მტაცებელი ფრინველი         |                        |                    | პანდური              | კურთრგი შავი მღვდლის ირეთში |                           |                 |                              |
|  |                            |                        |                    |                      |                             |                           |                 |                              |
|  |                            |                        |                    | სასმისი              |                             |                           | სასიმინდე       | ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი |
|  |                            |                        |                    |                      |                             |                           |                 |                              |
|  |                            |                        |                    | აქ გურულად           |                             |                           |                 |                              |
|  |                            |                        |                    |                      |                             | დე ფიუნესის სახელი        |                 |                              |
|  |                            |                        |                    |                      |                             |                           |                 |                              |
|  | მამაკაცის სახელი           |                        |                    | შინაური ფრინველი     | ერთგვარი ჭამა               |                           |                 | კამათი                       |

### № 33-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ფრენის სკოტ ფიცჯერალდი; ლიტერატურული პრემია – საბა; ერთგვარი საჩუქარი – ფეშქეში; ქალის სახელი – შუშანა; მინანქარი – ემალი; ამიერიდან – აწ; დედა აჭარულად – ნენე; მეორე ნოტი – რე; ნიადაგის ფენა – შრე; ქართული საესტრადო ანსამბლი – ორერა; საათის მეოთხედი – წენტელი; ქართველი ფალავანი – რურუა; წყლის არხი, რუ – ქარიზი; მდინარე ციბირში – ირტიში; ჯარი – ლაშქარი; ცქრიალა ღვინო – ახტაშირა; მატყლის ქსოვილი – შალი; მდინარე ქართლში – ლიანხვი; მესამე პირის ნაცვალსახელი – ის; ილეითი ჭიდაობაში – სარმა; სატელევიზიო არხი – პირველი; სანახაობრივი ხელშეწყობა – ცირკი; მავთილი – ორპირი; საჭმელი სოკო – მუხისძირა; წვეულება – ხადილი; სტეფანწმინდის ძველი სახელი – ხევი; მამაკაცის სახელი – ვერალდი; მტაცებელი ფრინველი – ძეგა; მერქნიანი მცენარე – ხე; მათემატიკური მეცნიერება – ალგებრა; მუსიკალური ინსტრუმენტი – დაირა; ქალაქი ალფორში – ელერა; ხვიარა მცენარე – ლიანა; მწერალი ქალი – მრელაშვილი; სახელმწიფო აფრიკაში – მაროკო; თურქული მარგარინი – ონა; პირველი ასობგერა – ა; საბრძოლო მათარხი – ჩელტი.

